

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

ქ. თბილისი

TBILISI

04.12 2018 წ. N 725

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2016 წლის 30 დეკემბრის №822 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილისთვის სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომრის (კოდის) მინიჭების მეთოდოლოგიაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „სსე“) მიერ 2016 წლის 30 დეკემბრის №822 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილისთვის სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომრის (კოდის) მინიჭების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვბრძანებ:

1. სსე-ს 2016 წლის 30 დეკემბრის №822 ბრძანების N1 დანართით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილისთვის სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომრის (კოდის) მინიჭების მეთოდოლოგიაში“ (შემდგომში „მეთოდოლოგია“), მასში სსე-ს 31.01.2017 წ. N56 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის ა4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა4. იმ შემთხვევაში თუ ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილის შესატყვისი მინაერთის ელექტროენერჯის საბითუმო ვაჭრობაში მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი არ/ვერ მიიღებს ამ მუხლის „ა1“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ცალმხრივად, თავად მიანიჭოს უნიკალური ნომერი (კოდი) შესატყვის აღრიცხვის წერტილ(ებ)ს, ამ წერტილ(ებ)ის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობაში მიღებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) სამუშაო დღის ვადაში.“

ბ) მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ცალმხრივად ან გადაცემის ლიცენზიატის, კვალიფიციური საწარმოს ან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს გადაცემის ლიცენზიატს, კვალიფიციურ საწარმოს ან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს ინფორმაცია კონკრეტული ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილის შესახებ N1 დანართში მოყვანილი ფორმატით. მოცემული ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს წერილობით ან/და ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.“

- გ) მეთოდოლოგიის დანართი N1-ით დამტკიცებული ფორმა „ინფორმაცია ელექტროენერჯის აღრიცხვის წერტილის შესახებ“ ჩამოყალიბდეს და დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმით.
2. ბრძანების ყველა სხვა დანარჩენი პირობა რჩება ძალაში.
 3. სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების, სსე-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gse.com.ge) განთავსება, წინამდებარე ბრძანების ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
 4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსს დავით დგებუაძეს.
 5. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

დავით თვალაბიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი



